

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გამიდ სადიკოვი

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი

ქვემო ქართლში

სამართლებრივი და ტერიტორიული

თავისებურებები

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე  
პროფესორი

თბილისი 2019

## ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის- აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის სამადტლებრივი და ტერიტორიული თავისებურებების შესწავლას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ აღნიშნულ პროცესზე.

ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეული საკითხები დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის თითქმის ყველა სამართლებრივ ინსტრუმენტში გვხვდება. გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატებში არსებული ინსტრუმენტები სხვადასხვა დოზით აღიარებს და ხაზს უსვამს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის აუცილებლობას და ამით ასევე განამტკიცებს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო თანასწორი, ინკლუზიური და პლურალისტური საზოგადოების მნიშვნელობას. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია იმ ღირებულებებისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებისთვის, რომლებსაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სოლიდარული და მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. იზიარებენ. საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა ჯუგუფებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია აზერბაიჯანული თემი. ამდენად მიზანშეწონილია ვიცოდეთ რა დონის ინტეგრაციაა მათთვის დამახასიათებელი. ზემოთ აღწერილი საჭიროებიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი თემა ფრიად აქტუალურია და პირდაპირ კავშირშია საქართველოში კონსოლიდირებული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საფუძვლების შესწავლის საქმესთან.

## **Annotation**

The work is dedicated to studying the peculiarities of the process of integration into ethnic Georgian minority-Azerbaijani population in Kvemo Kartli. The work focuses on the factors influencing the process.

There are separate issues related to the rights of ethnic minorities in almost every legal instrument of human rights. The instruments existing in the UN, Council of Europe, OSCE and other international organizations recognize the need for the protection of ethnic minorities rights and thus strengthen the importance of equal, inclusive and plural society for the development of democratic societies. Minority rights and the values that are important to keep the culture and development, for which the members of that group, in turn, affects the joint and peaceful society chamoqalibebaze.iziareben.sakartvelo ethnic minority jugupebs among the largest of the Azerbaijani community .a m zanshetsonilia to know what level of integration is characteristic for them. Based on the above mentioned, we believe that the topic presented by us is very relevant and is directly related to the study of the basis of the creation of a consolidated democratic state in Georgia.

**MA thesis.Gamid Sadikov - Civil integration Process in Kvemo Kartli Region-Legal and Territorial Peculiarities**

## სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation	4
შესავალი	6
თავი 1. ტერმინი „უმცირესობის“ განმარტება	16
1.1. ვინ არიან ეთნიკური/ეროვნული უმცირესობები ?	16
თავი 2. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფო მექანიზმების მიმოხილვა	18
2.2. საერთაშორისო აქტები რომლებიც ავალდებულებენ საქართველოს დაიცვას უმცირესობების უფლებები	19
2.3. ეთნიკურ უმცირესობათა სამართლებრივი დაცვის არსებული სახელმწიფო მექანიზმები	22
თავი 3. მეორადი მონაცემების ანალიზი	23
3.1. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დინამიკა	23
3.2. სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა	24
3.3. ენის ცოდნა	30
3.4. განათლება	32
3.5. უსაფრთხოება და კანონის აღსრულება:მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა	35

3.6. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	35
თავი 4.სოციოლოგიური კვლევა ქვემო ქართლის აზერბაიჯანულეოვანი თემის ინტეგრაციის დონის შესახებ	37
4.1.ქვემო ქართლის აზერბაიჯანული უმცირესობა: ქართულ სახელმწიფოში მისი ინტეგრაციის ზოგადი საკითხები	37
4.2. ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები	38
4.3 ეკონომიკურ/ბიზნეს საქმიანობაში ჩართულობა, შრომითი უფლებები	41
4.4. სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა	42
4.5. ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობა	44
4.6. ინფორმირებულობის დონე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ	44
დასკვნა	47
გამოყენებული ლიტერატურა	52
დანართი	54

## შესავალი

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13.2 %-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ, მათ შორის რაოდენობით ყველაზე მსხვილ ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.2%) და სომხები (4.5%), რომლებიც კომპაქტურად არიან წარმოდგენილნი ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში (ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთში). ეთნიკური უმცირესობების თემების არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, რაც მოითხოვს ადეკვატური და ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებას. პოლიტიკური ხელისუფლების ამ პოლიტიკაზე დამოკიდებულია ის თუ რამდენად მოახერხებს საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმი ჩართულობაზე, თანამონაწილეობასა და პლურალიზმზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობა სერიოზული ცვლილებები განცადა.

თუ 1989 წლის აღწერის მონაცემებით, ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ, 2002 წლის აღწერის შედეგებით, საქართველოში (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების გამოკლებით) მათი ხვედრითი წილი 16%-მდე დაეცა. ეთნიკური უმცირესობების რაოდენობის შემცირების უმთავრესი მიზეზი ემიგრაციაა. ემიგრაციის პირველ ტალღა განაპირობა 1990-იან წლებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების გაუარესებამ. ემიგრაცია მოსახლეობის გადარჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოსავალი გახდა და ამიტომაც მან მასობრივი ხასიათი მიიღო როგორც ქართველებში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორისაც.

„1990-იანი წლების დასაწყისში ეთნიკური უმცირესობების ემიგრაციის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორი მათ მიმართ საქართველოს ხელისუფლებაში, იყო მოსული პოლიტიკური ჯგუფების დისკრიმინაციული პოლიტიკა. ახალბედა ხელისუფლების ნაციონალისტური რიტორიკა ზოგიერთ შემთხვევაში ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენლების შევიწროებაში გადაიზარდა. ქართულ საზოგადოებაში პოპულარული გახდა ლოზუნგი „საქართველო ქართველებისათვის“, არაქართულმა მოსახლეობამ კი „სტუმრის“ სტატუსი შეიძინა“<sup>1</sup>. შედეგად ეთნიკური უმცირესობებში ჩამოყალიბდა „მეორეხარისხოვანი მოქალაქის“ განცდა, რაც ბიძგი მისცა გაუცხოების ტენდენციას.

უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში, ეთნიკური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ყალიბდებოდა რუსეთის იმპერიის და საბჭოთა პოლიტიკის პირობებში. ზუსტად ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა კავკასიაში ეთნოსთაშორისი დაპირისპირებისა და სეპარატიზმის წახალისებას. ამის შედეგად საქართველოში, ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრ სხვა ტერიტორიაზე, ნაციონალიზმი და პარტიკულარიზმი ეთნოსთაშორისი ურთიერთობების წარმმართველ ძალად გვევლინება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოში სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“) მოვლენებმა. საქართველოს ამ ორ რეგიონში მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგად ქვეყანაში გაძლიერდა მოსახლეობის უმრავლესობის განცდა იმის თაობაზე, რომ ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობისა.<sup>2</sup>

მრავალეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირება ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიზაციის პროცესისთვის. კონსოლიდირებული დემოკრატიის არმქონე ქვეყნებში, ერი-სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკა ეწინააღმდეგება დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკას. ერი-სახელმწიფოს კონსტიტუციები ძირითადად ცნობენ მხოლოდ სატიტულო ერის ენას და ეროვნული

---

<sup>1</sup> კობახიძე, მამუკა . (2006). სამოქალაქო ინტეგრაციის ძირითადი პრობლემები საქართველოში. "სოლიდარობა" No5'06, გვ. 10-17

<sup>2</sup> Gogsadze, G. et al., "Minority Integration in Georgia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti)", The Levan Mikeladze Foundation, Tbilisi, 2014

რელიგიისთვის უპირატესობის მინიჭებას. საპირისპიროდ, დემოკრატიული პოლიტიკა სახელმწიფოს მშენებლობისას მიმართულია ფართო და მონაწილეობრივ მოქალაქეობაზე, როდესაც ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლებები ენიჭება.<sup>3</sup>

ყველა დემოკრატიული ქვეყნისათვის ეთნიკური უმცირესობების წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაცია სტაბილური და მშვიდობიანი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სახელმწიფოებს აქვთ პრაქტიკული ინტერესი, რათა უზრუნველყონ მოქალაქეების მონაწილეობა (მიუხედავად იმისა უმრავლესობის თუ უმცირესობის წარმომადგენელია ის) საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. თუ მრავალფეროვან საზოგადოებაში არ ტარდება კარგი ინტეგრაციის პოლიტიკა, მაშინ არსებობს საშიშროება, რომ კომპაქტურად განსახლებული უმცირესობა დანარჩენი მოსახლეობისგან იზოლირებული აღმოჩნდება.<sup>4</sup>

ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმრავლესობას არ აქვს სახელმწიფოსთან პოლიტიკური იდენტობის განცდა, ისინი დისტანცირებულნი არიან ქართული საზოგადოებისგან და ე.წ. „ეთნიკურ კუნძულზე“, ერთგვარ ავტონომიურ რეჟიმში ცხოვრობენ. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, რომელთა შორის ექსპერტები ყველაზე მეტად ენობრივ ბარიერს ასახელებენ. არსებული მონაცემებით ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა. რუსულმა ენამ კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ერთადერთი საკომუნიკაციო ენა იყო,

---

<sup>3</sup> ჟორჟოლიანი გია და სხვები. დემოკრატიზაცია: საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში:

დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო. „მეცნიერება“.

თბილისი. 2001. გვ. 64-65

<sup>4</sup> 3 The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in

Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Available at: [www.osce.org/HCNM](http://www.osce.org/HCNM)



ბოლო 15 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაკარგა პოზიციები.გამომდინარე აქედან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ვერ იღებენ სათანადო ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შესახებ.

ეთნიკური აზერბაიჯანელების ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სუსტი მონაწილეობის მიზეზები სხვადასხვაა და მნიშვნელოვანია მათი კვლევა.აუცილებელია უშუალოდ რეგიონის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების პერსპექტივიდან პრობლემის ანალიზი.ისევე როგორც ინსტიტუციური ბარიერების შესწავლა.შესაბამისად, მნიშვნელოვანია არამართო მიკრო, არამედ - მაკრო ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება, რათა მოხდეს ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი თემის წარმომადგენლების მონაწილეობის ყველა ინდიკატორის იდენტიფიკაცია.სამიზნე ჯგუფისა და რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე.

2012 წელს ეუთომ მიიღო დოკუმენტი, რომელიც ცნობილია, როგორც ლიუბლიანას გზამკვლევი მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციისათვის. მისი მიზანია გამოკვეთოს ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესისას. ლიუბლიანას გზამკვლევი სახელმწიფო ვალდებულებებს განსაზღვრავს. განსახვავებენ ვალდებულებებს, რომელებიც, ერთი მხრივ, სახელმწიფოს პრეროგატივაა, რათა შექმნას შესაბამისი გარემო სამოქალაქო ინტეგრაციისთვის. მეორე მხრივ, საქმე გვაქვს ინდივიდუალურ ვალდებულებებთან. სახელმწიფო ვალდებულების შემთხვევაში, ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს შემდეგი პრინციპები: კარგი და დემოკრატიული მმართველობა, დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის უმცირესობათა უფლებების დაცვა. ასევე არის ისეთი პრინციპები როგორცაა: მრავალფეროვნების აღიარება, ნებაყოფლობითი თვით-იდენტიფიკაციის უპირატესობა, ერთობლივი საჯარო ინსტიტუტები, ჩართულობა და ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაცია და ა.შ.<sup>5</sup>

---

<sup>5</sup> Gijs Thus. Capabilities, Language proficiency and civic integration: assessing capabilities related to civic

ლიუბლიანას გზამკვლევის მიზანია დაამკვიდროს ზემოთაღნიშნული აზროვნება და მიდგომა. აღნიშნული გზამკვლევი სთავაზობს, რომ ეროვნულმა უმცირესობებმა არა მხოლოდ ისარგებლონ უფლებით, რომ ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში, არამედ ისინი წახალისებულნი უნდა იყვნენ ამისთვის. გზამკვლევი აღიარებს, რომ ინტეგრაციის პროცესის გატარება და შესაბამისი პოლიტიკის იმპლემენტაცია, ყოველთვის სახელმწიფოს ვალდებულებაა (თუმცა ამავდროულად არ არსებობს ზოგადი რჩევა სახელმწიფოებისთვის და მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული პოლიტიკა გაატაროს საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე)<sup>6</sup>

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ის თუ რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი ქვემო ქართლში.

1. რამდენად ინტეგრირებულნი არიან ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.
2. შევეცდებით შევაფასოთ საქართველოში, დამოუკიდებლობის პერიოდში ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის დინამიკა;
3. ნაშრომში განვიხილავთ ეუთოს ლიუბლიანას გზამკვლევს მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციისათვის და შევეცდები დავადგინო რამდენად მოდის ქვემო ქართლში ეთნიკურად აზერბაიჯანელების ინტეგრაციის პოლიტიკა შესაბამისობაში ლიუბლიანას გზამკვლევაში ჩამოყალიბებულ პრინციპებთან.

---

integration by means of state language proficiency among ethnic minorities in Southern Georgia. Utrecht

University. December 2016. Pg. 36

<sup>6</sup> The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in

Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Pg. 3-4. Available at:

[www.osce.org/HCNM](http://www.osce.org/HCNM)

ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანული წარმომავლობის თემზე, რადგან ის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს.

ჩატარებულმა კვლევამ და ანალიზმა სახელმწიფოს მიერ გატარებულმა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა არ შეიძლება მივიჩნიოთ მთლად დამაკმაყოფილებლად. აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრაქტიკული შედეგები მთლიანობაში არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ ლიუბლიანას გზამკვლევაში ჩამოთვლილ პრინციპებს. ჩემი აზრით მიუხედავად უკანასკნელ პერიოდში წინ გადადგმულ ნაბიჯებისა, სახელმწიფოს საკმაოდ დიდი მუშაობა მოუწევს რათა მოხდეს ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან. განსაკუთრებით უნდა მოხდეს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება. ნაშრომის ძირითად ნაწილში საუბარი გვექნება ინტეგრაციის მიღწევებსა და გამოწვევებზე.

ნაშრომში გამოყენებულ იქნა სალიტერატურო და ანალიზის მეთოდები. რაც გულისხმობს განსახილველ სფეროში არსებული სამეცნიერო ნაშრომების და საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტების მიმოხილვასა და ანალიზს. კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობის შეფასებისას (ასევე მათი საერთაშორისო დოკუმენტებთან შესაბამისობის განხილვისას) გამოყენებული იქნა საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები (აგრეთვე სამთავრობო სამოქმედო გეგმები), სახალხო დამცველის და ადგილობრივი არასამთავრობოების ანგარიშები და კვლევები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და ექსპერტების ანგარიშები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გამოკითხვებს და მოპოვებული მასალის ანალიზს. ასევე გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები - ფოკუს-ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები.

პირველ ნაწილში მოცემული იქნება ინფორმაცია ტერმინი „უმცირესობის“ შესახებ, ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოზე და სტატისტიკური მონაცემები საქართველოში კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების შესახებ. მეორე ნაწილში

განვიხილავთ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას უმცირესობებთან მიმართებაში დამოუკიდებლობიდან დღემდე. შემდეგ განვიხილავთ იქნება ლიუბლიანას გზამკვლევის მიერ გამოყოფილი ინტეგრაციის მთავარი სფეროები არსებული მდგომარეობა ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების ფონზე .

სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხების კვლევისას აუცილებლად აღსანიშნავი წიგნებს შორის გამოვკვეთდი **გია ნოდის** საერთო რედაქციით გამოცემულ ნაშრომს **„ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი“** (ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში) .სადაც საუბარია ინტერეთნიკურ ურთიერთობებზე და სამოქალაქო ინტეგრაციის გარშემო.მასში შესულია როგორც სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი, ისე კონკრეტული რეკომენდაციები.ნაშრომში წარმოდგენილია მხოლოდ მათი შეხედულებები, ვინც მეტ-ნაკლებად სისტემატურად ამახვილებს ყურადღებას ამ პრობლემაზე და განვიხილავს მას დემოკრატიულ პრინციპებთან კავშირში.**ბთკვ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფის** მიერ შემუშავებული **„ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი“** , ნაშრომი ეხება სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.კარგად არის წარმოდგენილი პრობლემის გამომწვევი მიზეზები და მნიშვნელოვნად დამეხმარა აზრის პრობლემაზე კონცენტრაციის მხრივ.

**გიორგი გოგსაძე და სხვა ავტორები ; „უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები(ჯავახეთის მაგალითი)“** - ნაშრომში ნათლად არის სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში არსებული პრობლემები იდენტიფიცირებული.ასევე ნაშრომმა მნიშვნელოვნად დამეხმარა ანალოგიურ თემაზე, ქვემო ქართლის კონტექსტში მუშაობისას.**ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)** მიერ შემუშავებული პროექტის მოხსენება **“იდენტობის პრობლემატიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში და მისი პოლიტიკური და სოციალური განზომილებები“** - კვლევა საინტერესოა იმ მხრივ,რომ სახელმწიფო პოლიტიკას ეთნიკური უმცირესობების სფეროში კრიტიკულად აფასებს.მოხსენებაში აღნიშნულია „90-იანი წლებიდან დღემდე, სახელმწიფოს პოლიტიკა უმცირესობების

მიმართ იცვლება და ვითარდება, თუმცა, ის სრულყოფილად მაინც ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც მულტირელიგიურ და მულტიეთნიკურ სახელმწიფოს აქვს ინტეგრაციის თვალსაზრისით. ასეთი გამოწვევებია: დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა, ფორმალური განათლების დაბალი დონე, დისკრიმინაციის პრაქტიკა და კულტურული იერარქიები. საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანული თემის ისტორიისა და მათი გამოწვევების შესახებ ცოდნა აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში, ისევე როგორც ფართო საზოგადოებაში დაბალია. ამას მრავალი მიზეზი აქვს, მათ შორის, ენასთან დაკავშირებული ბარიერი, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარიყულობის პრობლემა. უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკაში აზერბაიჯანული თემის საკითხი, ხშირად, მხოლოდ სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემაზეა დაყვანილი და ინტეგრაციის პროცესში, აღნიშნული პრობლემის ახსნა კვლავ პასუხისმგებლობის თემზე გადატანით ხდება. „ამ მხრივ საინტერესო იყო ამ ორგანიზაციის შეფასება. იგივე ორგანიზაციის ინიციატივით 2019 წელს შემუშავებული სახელმძღვანელო: „ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა“ ნაშრომზე მუშაობისას მეხმარებოდა როგორც დოკუმენტთა გზამკვლევი.

ღია საზოგადოების ფონდის 2019 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია: „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა“ ასევე მნიშვნელოვანი იყო დანართების სახით მოცემული ინფორმაციის თვალსაზრისით. არასამთავრობო ორგანიზაციების „მწვანე კავკასია“ და „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“-ს მიერ 2018 წელს შექმნილი ანგარიში: „ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში“ ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის რეგიონის განვითარების სტრატეგიის შეფასებისას.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის“ ფარგლებში 2014 წელს დაბეჭდილი პუბლიკაცია: „ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და

პრიორიტეტები ქვემო ქართლის რეგიონში“.სადაც საუბარია ქვემო ქართლის რეგიონის ქალთა საჭიროებებზე, მათი ჩართულობაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჯგუფური დისკუსიების და სიღრმისეული ინტერვიუ შემუშავდა არასტრუქტურირებული გზამკვლევი, რომელიც მოიცავდა განსახილველი თემების ჩამონათვალს. ჩატარდა 8 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა და 1 ჩაღრმავებული ინტერვიუ(სულ რესპონდენტი- 46). თითოეული ფოკუს ჯგუფი შედგებოდა სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილის მქონე 6-დან 8 მონაწილემდე; ფოკუს ჯგუფებისთვის რესპონდენტთა შერჩევას გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა კრიტერიუმები: ეთნიკური კუთვნილება, საქმიანობის ტიპი და ხასიათი, ასაკი სქესი და სხვა.

ქვემოთ მოცემულია ფოკუს ჯგუფების და ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტთა სია:

ფოკუს-ჯგუფები:

- გარდაბნის ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი (უმადლესი განათლებით)
- გარდაბნის ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფი (საშუალო განათლებით)
- გადაბნის ინტელიგენციის წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფი
- მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფი (გარდაბნის,მარნეულის,ბოლნისის სკოლებიდან)
- მარნეულის არასამთავრობო წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფი
- დმანისის ქალთა ფოკუს ჯგუფი
  
- ბოლნისის ფერმერთა ფოკუს ჯგუფი
- ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე თბილისის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ფოკუს ჯგუფი.

ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი:

- დამოუკიდებელი ექსპერტი ეთნიკური უმცირესობების საკითხებში - ზაურ ხალილოვი

## თავი 1. „უმცირესობის“ ცნება

### 1.1. ვინ არიან ეთნიკური/ეროვნული უმცირესობები?

ეთნიკური უმცირესობების, როგორც ტერმინის განმარტებას მნიშვნელობა აქვს იმის გასაგებად, თუ ვინ არიან ქვემოთ განხილული უფლებების სუბიექტები.<sup>7</sup> სამწუხაროდ არ არსებობს ერთიანი მიდგომა ამ ორ ტერმინთა განმარტების კუთხით - „ეთნიკური უმცირესობა“, „ეროვნული უმცირესობა“ და დიდ პრობლემას წარმოადგენს ორ ტერმინს შორის არსებული გაუგებრობა. ის თუ რას ნიშნავს ეთნიკური უმცირესობა და ეროვნული უმცირესობა. რადგან თვით ერის განმარტების უნივერსალური ვერსია არ არსებობს.

არც ერთი სავალდებულო და არასავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული/ეთნიკური უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხს, არ განმარტავს, თუ რა კატეგორიის ჯგუფები წარმოადგენენ უმცირესობებს. უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს სისტემაში უფრო მიღებული და დამკვიდრებული ტერმინია „ეთნიკური უმცირესობა“ მაშინ, როცა ევროპის საბჭოს სისტემაში ამ ჯგუფს „ეროვნულ უმცირესობას“ უწოდებენ.<sup>8</sup>

ე.ჰეივუდი ეთნიკურ ჯგუფს განმარტავს, როგორც საერთო ისტორიული და კულტურული მეობის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რასაც საერთო წარმომავლობის რწმენა უდევს საფუძვლად (ჰეივუდი, 2008, 154). ხოლო ერს იგი განმარტავს, როგორც რთულ ფენომენს, რომელიც კულტურული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობის შედეგად ყალიბდება (ჰეივუდი, 2008, 154).

---

<sup>7</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა(EMC) [http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO\\_WEB\\_1552474567.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf)

<sup>8</sup> იგივე.



იმისათვის, რომ ნაშრომში სწორად გამოვიყენოთ ტერმინები და გარკვეულწილად გავამყარო ჩემი პოზიცია: ნაციონალიზმის თანამედროვე გაგებით ერი არის პოლიტიკური წარმონაქმნი, ხოლო, ეროვნება პოლიტიკური(სახელმწიფო) იდენტობა. ეთნოსი კი კულტურული წარმონაქმნია რომელიც უკავშირდება საერთო წარმომავლობას, ენასა და კულტურას.შესაძლებელია ერში, როგორც, პოლიტიკური წარმონაქმნი არსებობდეს ადამიანთა ჯგუფები რომლებსაც გააჩნიათ განხვავებული ენა, წარმომავლობა, კულტურა ასეთ ადამიანებს მე ვუწოდებ ეთნიკურ უმცირესობას.აქედან გამომდინარე ნაშრომში გამოვიყენებ ტერმინ „ეთნიკურ უმცირესობას“.

## თავი 2. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფო მექანიზმების მიმოხილვა

ლიუბლანას გზამკლევის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები ასახული უნდა იყოს კონსტიტუციაში, აგრეთვე უნდა არსებობდეს სპეციალური ნორმები და მექანიზმები.რადგან, უმცირესობათა უფლებები ადამინის უფლებების განუყოფელი ნაწილია.<sup>9</sup>

განსახილველი სფერო მოიცავს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის შემუშავების სამართლებრივი ჩარჩოსა და ინსტიტუციურ სტრუქტურას.საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1990-93 განმავლობაში არსებული არსებულმა პოლიტიკური ვითარების, ამასთან დემოკრატიული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების, კანონის უზენაესობის არ არსებობის გამო საქართველო არაშემდგარ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.ამ ფაქტორებმა ქართულ სახელმწიფოს მოუწესრიგებელ მშენებლობაში ეთნოცენტრიზმის ზრდასთან ერთად, დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისინი , „მეორეხარისხოვან მოქალაქეებად“ აქცია(პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, 2008).შემდგომ პერიოდში სიტუაცია შედარებით გამოსწორდა.მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია (1995 წ.), ზოგადი ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში, ასევე სისხლის სამართლის კოდექსში, რაც ეთნიკური უმცირესობების დაცვის სფეროში ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო შექმნა.გარდა ამისა, საქართველომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებით იკისრა ვალდებულებები ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მხრი

---

<sup>9</sup> The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in

Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Pg. 29. Available at: <https://www.osce.org/HCNM>

გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციით, 2012 წლის 27 მარტს ცვლილებები შეიტანეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. ეს ცვლილებები (142 მუხლი) ითვალისწინებს, რომ ადამიანთა თანასწორუფლებიანობის ხელყოფა, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმიან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.

საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს ისეთ მუხლებს, რომლებიც ხაზს უსვამს საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, აგრეთვე – მათ თანასწორობას განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური კუთვნილებისა. თუმცა, არ არსებობს კონკრეტული კანონი ეთნიკური უმცირესობების სტატუსისა და უფლებების შესახებ.

გარდა კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლებისა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი აწესებს ნებისმიერი, მათ შორის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულებას.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებების განხორციელების საკითხი, კვლავ მნისვნელოვან გამოწვევად რჩება. მიუხედავად, საერთაშორისო ვალდებულებებისა ეთნიკური უმცირესობების დაცვა მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტეგრაციისა და ინკლუზიის გზით ფორმალისტური ხასიათისაა და მისი პრაქტიკაში სათანადო რეალიზება არ ხდება.<sup>10</sup>

---

<sup>10</sup> ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) ; ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა [http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO\\_WEB\\_1552474567.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf)

## 2.1. საერთაშორისო აქტები, რომლებიც ავალდებულებენ საქართველოს დაიცვას ეთნიკური უმცირესობების უფლებები

საქართველო წევრია ყველა იმ ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ეთნიკურ უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხს.

1) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მიხედვად იმისა, რომ კონვენცია ადამიანთა უფლებების ზოგადი რეგულაციით ხასიათდება, კონვენცია შეიცავს მუხლს(14), რომელიც კრძალავს დისკრიმინაციის ყოველგვარ სახეს უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას და დისკრიმინაციის ერთ-ერთ საფუძვლად ეთნიკური უმცირესობებისადმი კუთვნილებას ასეხელებს<sup>11</sup>

2) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული „ჩარჩო“ კონვენცია. ჩარჩო კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ სრულყოფილ შეთანხმებას, რომელიც კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის საკითხს აწესებს. ჩარჩო კონვენციის დებულებები მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, როგორც არის დისკრიმინაციის არარსებობა, ეფექტური თანასწორობის უზრუნველყოფა, კულტურის, რელიგიის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის პირობების შექმნა, მასმედიის ხელმისაწვდომობა და გამოყენება, ენის თავისუფლება და.სხვ.<sup>12</sup> საქართველომ აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2006 წელს შეუერთდა.

3) სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. პაქტი წარმოადგენს გაეროს სისტემის ბაზაზე შექმნილ მექანიზმს. აღსანიშნავია, რომ პაქტის სამი მუხლი (2; 26; 27), რომლებიც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის სამართლებრივ

---

<sup>11</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

<sup>12</sup> ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800c130b>

საფუძველს ქმნის.კერძოდ მე-2 მუხლის მიხედვით მხარეები ვალდებული არიან ნებისმიერი დისკრიმინაციის გარესე იურისდიქციის ქვეშ უზრუნველდონ პირთა უფლებების დაცვა.აგრეთვე აღსანიშნავია,რომ პაქტის მე-27 მუხლი სპეციალურად ეთნიკურ უმცირესობების საკითხს მოიცავს.სახელმწიფოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ეთნიკურ უმცირეობების მიერ, საკუთარი კულტურით, აღმსარებლობითა და ენით თავისუფლად სარგებლობას.

4) რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო პაქტი.გაეროს სისტემის ბაზაზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას მათ შორის ეთნიკური ნიშნით.პაქტში აგრეთვე განსაზღვრულია სახელმწიფოების ვალდებულებები ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.სახელმწიფოები ვალდებულია არიან, დაგმონ პროპაგანდა და ორგანიზაცია, რომლებიც ისეთ იდეებს ეფუძნება, რომელიც უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს რომელიმე რასის ან ეთნოსის ჯგუფებს (მუხლი 5).

აგრეთვე, პაქტის მიხედვით , სახელმწიფოებს ევალებათ მიიღონ სპეციალური ზომები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისთვის ადეკვატური განვითარებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად , სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში.

კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2014 წლის აპრილში.

5) ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. მიუხედავად იმისა რომ, პაქტი არ ითვალისწინებს სპეციალურ უფლებას ეთნიკური უმცირესობებისათვის, თუმცა ხაზგასმულია, რომ აქ განსაზღვრული ყველა უფლებით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს განურჩევლად ყველას, მათ შორის ნებისმიერი ეთნოსის და ეროვნების ადამიანს.<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General comment No. 20: Non-discrimination in economic, social and cultural rights, 2 July 2009, E/C.12/GC/20, at 4.

აღსანიშნავია რომ, პაქტის მე-13 მუხლის მიხედვით, განათლება უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, აძლევდეს , ეფექტიანად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წახალისოს ტოლერანტული და მეგობრული განწყობები ყველა ეროვნების და რასის, ეთნოსისა და რელიგიის ჯგუფებს შორის.

## **2.3. ეთნიკურ უმცირესობათა სამართლებრივი დაცვის არსებული სახელმწიფო მექანიზმები**

2004 წლის შემდეგ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული რამდენიმე სახელმწიფო ორგანო ჩამოყალიბდა:


- საქართველოს პრეზიდენტან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა, უმცირესობებისა და კანონის უზენაესობი დეპარტამენტი.
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2014 წლამდე – რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი).
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო.
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი.

### თავი 3. მეორადი მონაცემების ანალიზი

#### 3.1. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დინამიკა

საქართველო მრავალეთნიკური და მულტიკულტურული ქვეყანაა, სადაც ტრადიციულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური მახასიათებლების მქონე ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები ცხოვრობენ. ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა წლების მიხედვით მუდმივ ცვლილებებს განიცდის. ეთნიკური სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჰომოგენიზაციის ტენდენცია შეინიშნება და ეთნიკური მრავალფეროვნება დროთა განმავლობაში იკარგება. (ლია საზოგადოება; 2019)

დიაგრამა 1 - საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დინამიკა (წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი)



მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13.2 %-ს ეთნიკური უმცირესობები

შეადგენენ,<sup>14</sup> მათ შორის რაოდენობით ყველაზე მსხვილ ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.2%) და სომხები (4.5%), რომლებიც კომპაქტურად არიან წარმოდგენილი ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში (ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები), სხვა ეთნიკური ჯგუფები ძირითადად დისპერსიულად არიან განსახლებულნი და ნაკლებად ქმნიან კომპაქტურ დასახლებებს.

### 3.2. ეთნიკურ უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობა

ლიუბლიანას გზამკვლევი გამოჰყოფს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის შესაძლებლობას, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრესს უფლებასა და წინაპირობას თანასწორი შესაძლებლობის უზრუნველყოფისთვის, მათ შორის უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული უფლება გარანტირებული უნდა იყოს კანონმდებლობაში.<sup>15</sup>

ჩართულობის თვალსაზრისით ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნიათ სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობის მიღების ადეკვატური შესაძლებლობები, ხოლო, სახელმწიფოს მხრიდან ასევე ხელშეწყობილია კომუნიკაციის, კონსულტირების და ადვოკატირების ინსტიტუციური მექანიზმები, ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს სახალხო დამცველის ოფისთან დანერგილი საკონსულტაციო სტრუქტურის არსებობა სახელწოდებით „ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო“, რომელიც 2005 წლიდან ფუნქციონირებს როგორც ხელისუფლებასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის

---

<sup>14</sup> საქსტატის მოსახლეობის აღწერის ოფიციალური მონაცემები <https://www.geostat.ge>

<sup>15</sup> The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in

Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Pg. 46-47. Available at: <https://www.osce.org/HCNM>



საკომუნიკაციო და საკონსულტაციო ხაზი. (საქართველოს კვლეისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2019)

საბჭო აერთიანებს ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განურჩევლად მათი წევრების რაოდენობისა და გეოგრაფიული მდებარეობისა. საბჭო ასევე ვალდებულია გააჟღეროს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა და ამ სფეროში შეიმუშაოს პოლიტიკური რეკომენდაციები. უკანასკნელ წლებში საბჭოს დანიშნულება და მანდატი კიდევ უფრო გაფართოვდა. კერძოდ, საქართველოს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ აღნიშნული კანონის ზედამხედველობის ფუნქცია გადაეცა სახალხო დამცველის აპარატს და ის აღიჭურვა მონიტორინგის და შეფასების ფუნქციებით, აქედან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოს ყოველწლიური ჩართულობა ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის განხორციელებისათვის. (ღია საზოგადოების ფონდი, 2019)

2016 წელს დამტკიცებული სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით 2017 წელს ამოქმედდა საკონსულტაციო მექანიზმი სამხარეო ადმინისტრაციების ბაზაზე, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, აგრეთვე შესაბამის სამხარეო ადმინისტრაციის ფარგლებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. აღნიშნული მექანიზმის შემუშავება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით.

ზემოთნახსენებდან გამომდინარე ნათელი გახდა რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში გააჩნიათ სამოქალაქო აქტივობის და საკუთარი პრობლემების და მიმდინარე გამოწვევების გაჟღერების და ადვოკატირების შესაძლებლობა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია შესაბამისი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმების არსებობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა პრობლემატური საკითხია ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციების და სათემო გაერთიანებების არამდგრადობა და

არასაკმარისი მომზადება რათა, დამოუკიდებლად აწარმოონ სამოქალაქო აქტივიზმი. ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო სექტორში მონაწილეობა არსებითად დამოკიდებულია გარეშე ფინანსებზე-საერთაშორისო დონორებზე. რომლის შეწყვეტის შემთხვევაში ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციები ვერ ახერხებენ თვითორგანიზებას.

ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია სწორედ მათი არამდგრადობა და მუდმივ გარეშე დაფინანსებაზე დამოკიდებულება. საჭიროა ეთნიკურ უმცირესობათა განსახლებულ რეგიონებში ძლიერი სამოქალაქო ინსტიტუტების შექმნა და მათი ხელშეწყობა, რომელიც იქნება მდგრადი და არ იქნება მუდმივად დამოკიდებული გარეშე დაფინანსებაზე.

ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის საკითხს რაც შეეხება, ამ შემთხვევაში სამოქალაქო აქტივობისგან სრულიად განსხვავებული რეალობა გვხვდება. თუ ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ორგანიზაციებს გააჩნიათ სამოქალაქო აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმები, ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური ინტერესები და მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უზრუნველყოფილი არ არის. მიუხედავად იმისა რომ, ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობისა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის საკითხი ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას<sup>16</sup>, რეალურ პოლიტიკურ სივრცეში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირება ადეკვატური ხარისხით არ არის რეალიზებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოს მიერ არჩეული პოლიტიკური კურსი ეთნიკურ უმცირესობათა დაცვისა და ინტეგრაციის მიმართულებით, ხასიათდება მულტიკულტურალიზმის კონცეფციის გაზიარებით, თუმცა პოლიტიკური

---

<sup>16</sup> სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015–2020 წწ. სამოქმედო გეგმა [http://smr.gov.ge/Uploads/AP\\_2019\\_61013459.pdf](http://smr.gov.ge/Uploads/AP_2019_61013459.pdf)

მონაწილეობის მხრივ იგივე მიდგომა მხოლოდ ფორმალისტური ხასიათისაა და ფრაგმენტულად არის გაზიარებული. ქვეყნები რომლებიც მულტიკულტურალიზმს აღიარებენ ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის უზრუნველყოფელი, მთელი რიგი პრაქტიკული მექანიზმები არის დანერგილი, რომელთაც ხშირ შემთხვევაში პოზიტიური დისკრიმინაციის ხასიათი გააჩნია, ასეთ ღონისძიებებს შორის მოიაზრება ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში ეთნიკურ უმცირესობათა გარანტირებული წარმომადგენლობის არსებობა კვოტირებით, პოლიტიკური პარტიებისათვის მასტიმულირებელი ღონისძიების ჩატარება ეთნიკურ უმცირესობათა საარჩევნო სიებში წამოყენების სანაცვლოდ და სხვა. (ღია საზოგადოების ფონდი; 2019)

აღნიშნულ საკითხში მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის არ არსებობს რაიმე წამახალისებელი სამართლებრივი მექანიზმი, რათა იყოს სტიმული მათთვის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების პარტიულ სიაში მოზიდვისთვის. მაგალითა

ამგვარად, მონაცემებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობები არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი ადგილობრივ დონეზე. შედეგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკუთარი ამომრჩევლების ეთნიკური შემადგენლობის პროპორციულად ასახვა ჯერჯერობით, შეიძლება, არ წარმოადგენდეს ქართული პოლიტიკური პარტიების უმთავრეს პრიორიტეტს.

ცენტრალურ დონეზე აღმასრულებელ ხელისუფლებას რაც შეეხება უმცირესობათა თემების ინტერესების გამომხატველი წარმომადგენლობა ცენტრალური ხელისუფლების დონეზე ფაქტობრივად არ გვხვდება. ეთნიკური უმცირესობები მხოლოდ საშუალო და დაბალი რგოლის პოლიტიკურ თანამდებობებს იკავებენ. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ დგას ქვემო ქართლის რეგიონში.

აგრეთვე აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში ეროვნული უმცირესობათა დაცვისა სამოქალაქო ინტეგრაციის შესახებ.

2018 წლის განმავლობაში თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების ნაწილი ხედავს და აღიარებს ამ სფეროში არსებულ სიღრმისეულ პრობლემებს, სამწუხაროდ, მათი მოგვარებისთვის ეფექტიანი და მასშტაბური ნაბიჯები არ იდგმება.<sup>17</sup>

განხორციელებული პროგრამების მიუხედავად, ამ სფეროში არსებული სისტემური გამოწვევები წლიდან წლამდე უცვლელი რჩება. კვლავ აქტუალურია ეროვნული უმცირესობების განათლების, სახელმწიფო ენის სწავლების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. დღეს გაცილებით მეტი ადამიანი საუბრობს ქართულად, ვიდრე 10–15 წლის წინ საუბრობდა, გამოიცა სხვადასხვა სახელმძღვანელო, ლიტერატურა, მაგრამ განხორციელებულ საქმიანობას ის დადებითი შედეგი არ გამოუღია, რისი მოლოდინიც, მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან არსებობდა. (სახალხო დამცველი, 2018)

სახალხო დამცველი აპარატის 2018 წლის ანგარიშზე აღნიშნულია, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მარნეულის მუნიციპალიტეტში 2018 წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო პოზიციებზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები მინიმალურად იყვნენ წარმოდგენილნი. 2014 წლის აღწერის მონაცემებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში 104 300 მოსახლეა, საიდანაც 83.77% აზერბაიჯანელია, 8.58% ქართველი და 6.99% სომეხი. ამ ფონზე გასათვალისწინებელია, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 8 სამსახურიდან მხოლოდ ერთის ხელმძღვანელია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, ხოლო საკრებულოს 5 კომისიის ხელმძღვანელიდან – არცერთი. მარნეულის საკრებულოს ბიუროს 11 წევრიდან მხოლოდ ერთია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი. ეს მაგალითი

---

<sup>30</sup>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ <http://www.parliament.ge/2018> წლის სახალხო დამცველის ანგარიში

ნათლად მიუთითებს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობითობისა და მონაწილეობის თვალსაზრისით არსებულ შემაშფოთებელ მდგომარეობაზე, რომელიც სათუოს ხდის ინტეგრაციის საკითხში სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობას.<sup>18</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეთნიკური უმცირესობები არაპროპორციულად იყვნენ წარმოდგენილნი საქართველოს პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობათა წარმომადგენლობა წლების განმავლობაში იზრდებოდა, პროცენტული მაჩვენებელი მაინც დაბალია. 2016-2020 წლის მოწვევის პარლამენტის წევრთა 7.3% არის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი (აქედან 4 დეპუტატი არის აზერბაიჯანელი, 3 - სომეხი, 2 აფხაზი, ერთი ერთი ქურთი/იეზიდი და ერთი ოსი).<sup>19</sup> გარდა ამისა, უმცირესობების დეპუტატებს საპარლამენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მინიმალური გავლენა აქვთ და არ გამოირჩევიან აქტიურობით.

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშზე ასევე მოხსენებულია, რომ ეთნიკური უმცირესობების ქალბატონები არ არიან წარმოდგენილნი 2016—2020 წლის მოწვევის პარლამენტში . სახელმწიფომ უნდა იზრუნოს უმცირესობებში განამტკიცოს გენდერული თანასწორობის პრინციპები, რათა გაუმჯობესდეს მათი წარმომადგენლობა და მონაწილეობა (სახალხო დამცველი, 2016)

ამავდროულად, აღსანიშნავია გარკვეულ დადებით ტენდენციებზეც, რომელიც მიუთითებს ხელისუფლების მხრიდან ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელებული პროგრამული აქტივობები. კერძოდ, ცესკო უზრუნველყოფს

---

<sup>18</sup> იგივე. გვ. 384-386

<sup>19</sup> ეროვნული უმცირესობები საქართველოს პარლამენტში 2016-2020. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი. იანვარი 2017:

[http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics\\_minorities-in-parliament\\_Geo.pdf](http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics_minorities-in-parliament_Geo.pdf)

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მომზადებას საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით, საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეო რგოლების დამზადებას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გაშვებას საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში, ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, საინფორმაციო შეხვედრების გამართვასა და საარჩევნო პერიოდში ცესკოს აპარატში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმებას.(ცესკო, 2016)

### 3.3. ენის ცოდნა

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან გამოჩნდა, ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობა საკმაოდ დაბალია. ხელისუფლებამ უნდა შექმნას საშუალება ოფიციალური ენის შესასწავლად, რათა არსებობდეს ერთი ან მეტი საერთო ენა, რომელიც აუცილებელია საზოგადოების ინტეგრაციისა და ფუნქციონირებისთვის. უმცირესობებს უმრავლესობასთან ერთად გააჩნიათ პასუხისმგებლობა მონაწილეობა მიიღონ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს გულისხმობს, რომ უმცირესობებმა უნდა სათანადო დონეზე შეისწავლონ სახელმწიფო ენა<sup>20</sup>

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო აპარატის ბაზაში არსებული მონაცემების მიხედვით ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის ენის ფლობის დონე შემდეგნაირია: ვინც თავისუფლად არ ფლობს ქართულ ენას - 172 134 კაცს შეადგენს , მათ შორის ქვემო ქართლში მცხოვრები

<sup>20</sup> The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in

Europe: High Commissioner on National Minorities. November 2012. Available at: Pg. 52-54. <https://www.osce.org/HCNM>

146 276.ხოლო ვინც თავისუფლად ფლობს ქართულ ენას - 43579, მათ შორის ქვემო ქართლში მცხოვრები 18 983.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს რეგიონში გაიზარდა ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი „აზერბაიჯანულეოვანი მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ფლობს ქართულ საკომუნიკაციო ენას.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, მთლიანობაში ქვეყნის მასშტაბით, სკოლებში, სადაც ეროვნული უმცირესობების ენებზე მიმდინარეობს სწავლა ქართულს ასწავლის 1196 პედაგოგი. მათგან 539 ასწავლის აზერბაიჯანულ, 219 - რუსულ და 438 - სომხურენოვან სკოლასა და სექტორზე.

2018 წელს ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლის 10 რეგიონული სასწავლო ცენტრი და 171 მობილური ჯგუფი უზრუნველყოფდა სახელმწიფო ენის სწავლებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების, განათლების სამინისტროს რესურსცენტრების თანამშრომლების, პედაგოგებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“-ში ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 10 ქალაქსა და 67 სოფელში ჩართული იყო ეთნიკური უმცირესობის 3386 წარმომადგენელი. სტატისტიკა ცხადყოფს სახელმწიფო ენის სწავლების ხელშესაწყობად განხორციელებული სამუშაოების მასშტაბურობას, მაგრამ ამის მიუხედავად, სახელმწიფო ენის ცოდნისა და სწავლების საკითხში არსებული სირთულეები კვლავ აქტუალურია.<sup>21</sup>

---

<sup>21</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი  
<http://www.parliament.ge/2018> წლის სახალხო დამცველის ანგარიში

ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში ქართული ენის პედაგოგების ნაწილი კვლავ ვერ ფლობს ქართულს საკომუნიკაციო დონეზეც კი, ხოლო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ რეგიონებში მივლენილი ქართული ენის პედაგოგების რაოდენობა საკმარისი არ არის სასკოლო განათლების ფარგლებში სახელმწიფო ენის სწავლების საკითხის სრულად გადასაჭრელად.

### 3.4. განათლება

სახელმწიფომ უნდა განავითაროს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც უმცირესობებს ექნებათ საშუალება ისწავლონ საკუთარ მშობლიურ ენაზე (განსაკუთრებით მათ მიერ დასახლებულ ტერიტორიებზე). საგანმანათლებლო პოლიტიკამ უნდა იპოვოს ბალანსი უმცირესობების უფლებას ისწავლონ საკუთარ ენაზე და იმ აუცილებლობას შორის, რათა შეიქმნას საერთო საგანმანათლებლო სივრცე ყველასათვის თანასწორი შესაძლებლობით მიიღონ ხარისხიანი განათლება. აღნიშნული საგანმანათლებლო პოლიტიკა უნდა ისწრაფოდეს, რათა ჩამოყალიბდეს ინტეგრირებული და ინკლუზიური განათლების სივრცე, რომელიც პატივს სცემს მრავალფეროვნებას. შესაბამისად უნდა შეიქმნას ისეთი აუცილებელი სასწავლო გეგმა (კურიკულუმი), რომელიც მოიცავს და აღწერს სახელმწიფოში მცხოვრები უმცირესობებისა და უმრავლესობის რელიგიას, კულტურას და მათ წვლილს ქვეყნის ისტორიაში. პლურალიზმი და განსხვავებული პერსპექტივა ასახული უნდა იყოს სასწავლო გეგმაში. ამ მხრივ, სკოლის სახელმძღვანელოები არ ასახავენ საზოგადოების მრავალფეროვნებას. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში ასახვის მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სასკოლო სახელმძღვანელოებში დისკრიმინაციული და



სტერეოტიპული შინაარსის მქონე ცალკეული მასალების არსებობა.<sup>22</sup> “ ასევე ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ის რომ, აზერბაიჯანული სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოები არ შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნებს.<sup>23</sup>

განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საშეღვათო პრაქტიკას და ეგრეთ წოდებულ პოზიტიურ დისკრიმინაციას აქტიურად მიმართავს. საშეღვათო პოლიტიკის ნაწილია 2010 წლიდან დანერგილი უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული აბიტურიენტების ჩარიცხვის პრაქტიკა, რაც ითვალისწინებს უმცირესობათა ენებზე მხოლოდ უნარ-ჩვევების ჩაბარებას, რის საფუძველზეც აბიტურიენტი ირიცხება სახელმწიფო ენის ერთწლიანი მომზადების კურსზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ კი მას საშუალება აქვს ქართულ ენაზე მიიღოს სრული საბაკალავრო განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. 2010 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული უმცირესობების რაოდენობას და შესაბამის დინამიკას თუ გადავავლებთ თვალს აშკარად სახეზე გვაქვს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობათა რაოდენობის მკვეთრი მატება. მაგალითისათვის, 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა - აზერბაიჯანულენოვანი ტესტების საფუძველზე 522-მა აბიტურიენტმა, ხოლო სომხურენოვანი ტესტების საფუძველზე 219-მა<sup>24</sup>

---


<sup>22</sup> საქართველოს სახალხო დამცველი. 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016 [http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/60058/saaxlxo\\_damcveli\\_-31.03\\_.2017](http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/60058/saaxlxo_damcveli_-31.03_.2017)

<sup>23</sup> იგივე.

<sup>24</sup> სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, საქართველოს მთავრობა, სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისია, თებერვალი, 2016 <http://www.mfa.gov.ge/getattachment/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია>

აბიტურიენტმა.თუმცა, ამის მიუხედავად ექსპერტების მოსაზრებებით აღნიშნულ საშეღვათო პრაქტიკას ხარვეზებიც გააჩნია, კერძოდ ნაკლოვანებებს შორის სახელდება ის, რომ ერთწლიანი მოსამზადებელი კურსი ქართული ენის სრულფასოვნად შესწავლისათვის და საუნივერსიტეტო პროგრამის ქართულ ენაზე დაძლევისათვის საკმარისი არ არის, ასევე კრიტიკის საფუძველი ხდება ის გარემო, რომელშიც ეთნიკური უმცირესობები ხვდებიან აღნიშნული ერთწლიანი კურსის ფარგლებში, კერძოდ პროგრამა ვერ უზრუნველყოფს აბიტურიენტთა ინტერაქციას ქართველ სტუდენტებთან და გარე საზოგადოებასთან (სახალხო დაცველი, 2016).

2018 წლის მონაცემებით საქართველოში 271 არაქართულენოვანი და შერეული სექტორის მქონე საჯარო სკოლა იყო. რომელთაგან უმეტესობა 115 წარმოადგენს სომხურენოვან სკოლას, 82 აზერბაიჯანულენოვანს, ხოლო 10 რუსულენოვანს. არაქართულენოვანი სექტორიდან კი 20 არის ქართულ-რუსული, 29 ქართულ-აზერბაიჯანული, 8 ქართულ-სომხური.



სახალხო დამცველის ანგარიშზე აგრეთვე აღნიშნულია, რომ უმცირესობათა განათლების საკითხში მთავარ პრობლემას წარმოადგენს, პედაგოგების ქართული ენის

ცოდნის დონე. პედაგოგების უმეტესობა ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, შესაბამისად მათთვის გაუგებარი რჩება სახელმძღვანელოებში ქართულ ენაზე დატოვებული 30 პროცენტის შინაარსი. ამ მხრივ, საჭიროა ახალი მიდგომისა და მექანიზმების შემუშავება ასევე მათი მუდმივი მონიტორინგი პრაქტიკაში დანერგვისას.

### **3.5. უსაფრთხოება და კანონის აღსრულება: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა**

ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მიერ გამოქვეყნებული ლუბლიანას გზამკვლევის „მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციისათვის“ მიხედვით, ქვეყნებმა პრიორიტეტად უნდა დაისახონ მართლმსაჯულების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ეთნოსთა შორისი ურთიერთობები გაუმჯობესდება, თუ უსაფრთხოების სამსახურის (მაგ: პოლიციის) შემადგენლობა ასახავს საზოგადოების შემადგენლობას. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების დასაქმებას სამართალდამცავ ორგანოებში და ამ მხრივ სიტუაციის გაუმჯობესებას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის პრობლემა სხვა სახელმწიფო უწყებებშიც იკვეთება. ვინაიდან ქართული ერთადერთ სახელმწიფო ენას წარმოადგენს, პროკურატურა, სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოები, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ისევე, როგორც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მხოლოდ ქართულ ენაზე ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული თარგმნის სერვისი ყველა სახელმწიფო ორგანოში მოქმედებს.

### 3.6. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ქართული კანონმდებლობის, მათ შორის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციისა და მისი სამოქმედო გეგმის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ეთნიკურ უმცირესობებს მიაწოდოს ინფორმაცია და ახალი ამბები მათ მშობლიურ ენაზე. 2010 წლიდან აღნიშნული ტელევიზია სამუშაო დღეებში თხუთმეტი წუთის ხანგრძლივობის ახალი ამბების პროგრამას გადასცემს ეთნიკური უმცირესობების ენებზე. (საზოგადოებრივი მაუწყებელი ახდენს „მოამბის“ სინქრონულ თარგმანს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე). აღნიშნული მოვლენა დადებითად შეფასდა სახალხო დამცველის მიერ, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს ციფრული მაუწყებლობის მიღებისთვის აუცილებელი ე.წ „სეთ-ტოპ-ბოქსებით“<sup>25</sup>

საზოგადოებრივი მაუწყებელი რადიოს მეშვეობით ასევე გადასცემს ახალი ამბების აუდიო ვერსიას აზერბაიჯანულ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თუმცა მაუწყებლობა მიმდინარეობს დილის ხუთიდან ექვს საათამდე. მეტიც, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი აღნიშნული რადიოს დაფარვის ზონის გარეთაა. 2006-დან 2010 წლამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო რეგულარულად გადასცემდა პროგრამას „ჩვენი საქართველო“, რომელიც შექდებოდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ტრადიციები, კულტურა, ისტორია, პრობლემები და წარმატებები. მიუხედავად იმისა, რომ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია და მისი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა „ჩვენი საქართველოს“ აღდგენას პროგრამა ჯერჯერობით არ გააქტიურებულა. აღსანიშნავია, რომ ორი კერძო რადიო „რადიო ეი-ჯი-ეფ-ემ“ი და „რადიო მარნეული“

<sup>25</sup> საქართველოს სახალხო დამცველი. 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2016. გვ.11. ხელმისაწვდომია:

[http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/60058/saaxlxo\\_damcveli\\_-31.03\\_.2017](http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/60058/saaxlxo_damcveli_-31.03_.2017)

თანამშრომლობენ; რომლებიც რადიო ტალღების მეშვეობით, ქვემო ქართლში აზერბაიჯანულ ენაზე გადასცემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ქვემო ქართლში არსებობს რამდენიმე ვებ-გვერდი, საინფორმაციო პორტალი, ინტერნეტ ტელევიზია მათ შორის აზერბაიჯანულენოვანი , თუმცა სოფლებში ცოტას მიუწვდება ხელი ინტერნეტზე.

საქართველოში გამოიცემა 20-მდე აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი და ჟურნალი (მაგ: ყოველკვირეული „გურჯისტანი“ და ყოველთვიური „იენი იოლ“ , „ოზანი“). თუმცა თუმცა მათ მატერიალური რესურსები შეზღუდულია და ტირაჟი საკმაოდ მცირეა და ისინი ვერ ახერხებენ მოსახლეობის უახლესი ინფორმაციით უზრუნველყოფას. ასევე აღსანიშნავია ის მომენტი რომ მათი უმრავლესობა ფინანსდება აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ.

## **თავი 4. სოციოლოგიური კვლევა ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი თემის ინტეგრაციის დონის შესახებ**

### **4.1. ქვემო ქართლის აზერბაიჯანული უმცირესობა: ქართულ სახელმწიფოში მისი ინტეგრაციის ზოგადი საკითხები**

ჯგუფურ დისკუსიებსა თუ ჩაღრმავებულ ინტერვიუებში დასმულ შეკითხვაზე – “როგორ შეაფასებდით ქვემო ქართლის ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის დონეს – როგორც მაღალს, საშუალოს თუ დაბალს“ – გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურ აზერბაიჯანელების ინტეგრაციის დონე თავსდება საშუალოსა და დაბალს შორის; არავის აღუნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქვემო ქართლში მაღალ დონეზეა. „*თუმცა, თუ შევადარებთ ათი წლის წინ არსებულ ვითარებას,*

ინტეგრაციის დონე გაუმჯობესებულია, რადგან ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა ქართულის მცოდნე ახალგაზრდების რაოდენობა. ისინი ძირითადად სტუდენტები არიან“ – განაცხადეს ქ. გარდაბნის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელმა. აქვე დაამატეს, რომ ინტეგრაცია ისეთ სფეროებში, როგორცაა ბიზნესი, კულტურა და პოლიტიკა, განსაკუთრებით დაბალია. გამოითქვა კიდევ უფრო დრამატული შეფასებებიც: გარდაბნის „მე ვერ ვგრძნობ ,რომ ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ, არანაირი კავშირი გვაქვს. ცენტრალური ხელისუფლება ისეთ შტაბგუდილებას ტოვებს, თითქოს არ ვაინტერესებთ“.

დამოუკიდებელი ექსპერტი ეთნიკური უმცირესობების საკითხებში - ზაურ ხალილოვის თქმით პრობლემა მარტო ენობრივ ბარიერს არ წარმოადგენს, არის სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც : „მე ჩემს გამოსვლაშიც აღვნიშნე, რომ 27 წლის განმავლობაში ჩვენ ვერ მივაღწიეთ ელემენტარულს, წრეზე დავდივართ. ის რომ სტატისტიკა იზრდება, ზოგჯერ მცირდება , მაგრამ აქ ხარისხზე მიდის საუბარი. იყო იმაზე საუბარი რომ ეთნიკური უმცირესობები ქართული ენა კარგად არ იციან და.ა.შ. , მაგრამ მარტო ქვემო ქართლიდან არის 3000 სტუდენტი და მილიონობით პროექტი იყო და ეს არის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების დამსახურება და არა სახელმწიფო პოლიტიკის მიზანმიმართული შედეგი. რომ დღეს აქტიური ახალგაზრდები გამოჩნდნენ ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში“.

ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელები თავს ქვეყნის სრულფასოვან წევრებად ვერ გრძნობენ; „ჩვენ გვახასიათებს არასრულფასოვანი მოქალაქეობის განცდა. ალბათ ეს ვიგრძენით უმრავლესობის ზოგიერთ წარმომადგენელთა დამოკიდებულებაში , თითქოსდა ჩვენ ვართ სტუმრები და ოდესღაც დავტოვებთ ქვეყანას“

## **4.2. ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები**

ინტეგრაციის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად, ჯგუფურ დისკუსიასა თუ ჩაღრმავებულ ინტერვიუში, უმეტესწილად სახელმწიფო (ქართული) ენის არცოდნა

დასახელდა. ინტეგრაციის დამაბრკოლებელ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებსაც გაესვა ხაზი, კერძოდ:

- უმრავლესობის ნეგატიური დამოკიდებულება (გაუცხოება, მეორახარისხოვან მოქალაქედ ჩათვლა)
- პოლიტიკური ნების არ არსებობა (ეთნიკური უმცირესობათა პრობლემებით დაუინტერესებლობა, ნეგატიური დამოკიდებულობა, ნეპოტიზმი)
- თვით თემის პასიურობა (მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობების არ ცოდნა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობის დაბალი დონე)

ქართული ენის არცოდნაზე, როგორც ინტეგრაციის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორზე, მიუთითეს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისე ადგილობრივმა მოსახლეობამ და თბილისში არსებულმა არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებმა. როგორც კვლევამ აჩვენა, ენის არცოდნა განაპირობებს სხვა თანმდევ პრობლემებსაც, როგორცაა, მაგალითად, სამეწარმეო საქმიანობისას ხშირად ცვალებადი საგადასახადო კანონმდებლობის არცოდნა, რაც ხშირ შემთხვევაში მეწარმე ეთნიკური უმცირესობების დაჯარიმებაში გამოიხატება. ასევე ენის არ ცოდნა პრობლემებს ქმნის საჯარო დაწესებულებებში მიმართვისას, დოკუმენტაციის პროცესების დროს და. ა. შ. ფოკუს ჯგუფში ერთ-ერთი ბოლნისელი ახალგაზრდის აზრით პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესობის გზით; *„ვფიქრობ ენის ბაარიერის აღმოფხვრის საუკეთესო გზა არის საბავშვო ბაღების რაოდენობის გაზრდა. რადგან ენის სწავლა ბავშვობიდან უნდა დაიწყოს. მაგალითად მამაჩემი 50 წლისაა და მას არც მოტივაცია აქვს ენის სწავლის არც თავისუფალი დრო. ხოლო ჩემი დისშვილები ბაღში დადიან, უკვე ელემენტარული ქართული იციან“*

კვლევამ აჩვენა, რომ ინტეგრაციის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება უმრავლესობის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება, გაუცხოება, სტუმრად აღქმა. რაც 90-იანი წლების ტრავმაა. შედეგი ისაა რომ ქვემო ქართლის ეთნიკურ უმცირესობში „არასრულფასოვანი მოქალაქეობის განცდა“ ჩმოყალიბდა რომელიც ხელს

უწყობს ეთნოსთაშორისი განშორების პროცესს.“არც ისე იშვიათად შემხვედრია ქსენოფობიური , დისკრიმინაციული გამოთქმები.ერთ პერიოდში მკაცრად კონტროლდებოდა ამ ბოლო დროს ისევ გვხვდება შეურაცყოფელი გამოთქმები (თათარი, გინებები).სოციალურ-ქსელებშიც გვხვდება ხოლმე სიძულვილის ენა.ასეთი ვითარება თუ გაგრძელდა ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო გართულდება“ დმანისელი ახალგაზრდა.

მარნეულში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფში ახალგაზრდებმა ასევე შეეხეს ქვემო ქართლში გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საიმიჯო ვიდეორგოლის თემას.<sup>26</sup>ვიდეორგოლი ,მომზადებული იყო 2018 წლის ზაფხულში, რომელიც ეთნიკურად აზერბაიჯანელი აქტივისტების მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. ვიდეორგოლში არ ჩანს არცერთი სიმბოლო, კულტურული არტეფაქტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ აღნიშნულ რეგიონში ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ.

კვლევის მიხედვით, ინტეგრაციის კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნების არ არსებობაა.დამოუკიდებელი ექსპერტი ეთნიკურ საკითხებში - ზურ ხალილოვის თქმით მთავარი პრობლემა ის არის, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს; „ვერ შევეგუეთ იმას, რომ არსებობენ ქართველი აზერბაიჯანელები, ქართველი სომხები. თანაბარუფლებიანობაზე საუბრობდნენ ძირითადად ხელისუფლების და სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები, თუმცა ჩვენ ამას ვერ ვხედავთ ეთნიკური უმცირესობები და არა მარტო ჩვენ, რომლებიც ამ თემაზე მუშაობენ და ეს ბოლო შეხვედრამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია. ჩვენ ამ ჩარჩოს ვერ გავცდით. . ყველაზე მთავარი პრობლემა ისაა, რომ პოლიტიკური ნება არ არსებობს, თორე ძალიან მარტივად შეიძლება ამ საკითხის გადაჭრა. თუნდაც ახალი კადრების მოზიდვით“ .რესპონდენტთა აზრით ხელისუფლებას არ სურს ძირეული ცვლილებები ამ სფეროში; „ხელისუფლება ნიშნავს

---

<sup>26</sup> ქოქოშვილი, დათო: ქვემო ქართლის საიმიჯო კლიპი გუბერნიისგან მხოლოდ ქრისტიანული ძეგლებით, ნეტგაზეთი, <https://netgazeti.ge/news/291333/>



თანამდებობაზე იმ პირებს ვინც ხმას არ ამოიღებს.ახალგაზრდა კადრებს არ იზიდავენ რადგან ცვლილებები ალბათ არ აწყობთ.ამდენი ხელისუფლება შეიცვალა იგივე პირები ზიან პარლამენტში რომლებიც ბრჭღალებში წარმოგვადგენენ.ჩემთვის როგორც ქართულის მცოდნე ახალგაზრდისთვის ქათული ენის არ მცოდნე დეპუტატი მიუღებელია.როგორ შეიძლება იყო პარლამენტის დეპუტატი და არ იცოდეს სახელმწიფო ენა თან დამოუკიდებლობიდან დღემდე“ აღნიშნავს გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან ერთმა სტუდენტმა.

კვლევის მიხედვით, ინტეგრაციის კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად თვით აზერბაიჯანელების პასიურობაც ასახელდა. „ჩვენ თვითონ ვპასიურობთ.ჩვენი პირადი, ოჯახობრივი საქმიანობებით , ყოველდღიური ცხოვრებით ვართ დაკავებული.დიდად არ ვართ დაინტერესებული თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში“ ამბობს დმანისის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ქალბატონი.ინფორმირებულობის დაბალმა დონემ განაპირობა თემის პასიურობა (რაც ასევე სახელმწიფო ენის არ ცოდნით აიხსნება).

### **4.3 ეკონომიკურ/ბიზნეს საქმიანობაში ჩართულობა, შრომითი უფლებები**

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, ადგილი აქვს დამსაქმებლების მხრიდან ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ, აზერბაიჯანელების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას:

*„გარდაბანში ჩინური კომპანია აშენებს ახალ ქარხანას, ჩვეულებრივ მუშად რომ მიმიყვანონ ითხოვენ ქართულ ენას.მე მესმის რომ, ქართული ენის ცოდნა საჭიროა, მაგრამ მე 45 წლის ვარ და საბჭოთა კვშირის დროს არ იყო ქართული ენის ცოდნა სავალდებულო არც ისწავლებოდა წესიერად.ახლა მე უნდა ვიმუშავო და ოჯახი უნდა*

*გადავარჩინო ,მე არ მაქვს იმის დრო, რომ დავჯდე და ვისწავლო ქართული ვერც ვისწავლი ამ ასაკში“*

კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის პროფესიული კვალიფიკაციის დონის ამაღლება, მათი პროფესიული გადამზადება რეგიონში მოთხოვნადი და შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისად.

ინფრასტრუქტურული პროექტები თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ხორციელდება; ადგილობრივ მუშახელს შესაბამისი უნარ-ჩვევები არ გააჩნია, რაც მათ ართმევს დასაქმების პერსპექტივას. სწორედ ამიტომაც საჭირო პროფესიული გადამზადების პროექტების ინიცირება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას უფრო კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე.

ადგილობრივ ფერმერებს, ქართული ენისა და შესაბამისად, ინფორმაციის ნაკლებობის გამო მათ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, ასევე, სხვა სიახლეების შესახებ, უჭირთ თავიანთი საქმიანობის გაფართოება.

კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის წარმოების ხელისშემშლელი კიდეც ერთი ბარიერი ბანკების მხრიდან კრედიტების გაუცემლობაა; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მეწარმეს სესხს დაუმტკიცებს, საპროცენტო განაკვეთი იმდენად მაღალია, რომ მეწარმეს მისი გადახდა არხელეწიფება.

#### **4.4. სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა**

კვლევამ აჩვენა, რომ ქვემო ქართლში სკოლამდელი განათლება მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია- ქართული და აზერბაიჯანული საბავშვო ბაღები ფუნქციონირებენ.საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვს ძირითადად სოფლებს რომლების მოსახლეობა მცირეა.სოფლის მოსახლეობა სადაც არ აქვთ საბავშვო ბაღები ბავშვები მიჰყავთ ქალაქის ბაღებში.

საშუალო განათლებაში არსებული ვითარებაც დამაკმაყოფილებელი არ არის:

*„თუ ხარისხიან საშუალო განათლებაზე ვსაუბრობთ ამ მხრივ სერიოზული პრობლემები არსებობს, აზერბაიჯანულენოვან სკოლებში კადრების სიმწირია. სკოლის კადრები უკვე ასაკოვანნი არიან. მათი შემცლელი საჭირო რაოდენობის კადრი აღარ გვყავს“*. განაცხადა მარნეულის სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელმა. კვლევის შედეგად ჩანს, რომ თუ სახელმწიფომ ვერ მოახერხა ძველი კადრების მაგივრად ახალი კადრების მომზადება აზერბაიჯანულენოვანი სკოლები სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან.

საშუალო განათლების სფეროში პრობლემას წარმოადგენს ბილინგვური სახელმძღვანელოები, ანუ, რომლებიც შედგენილია ქართულ-სომხურ ენაზე. ადრე ადგილობრივ სკოლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წიგნები აზერბაიჯანიდან შემოეტანათ, მაგრამ ამჟამად ეს აღარ არის ნებადართული. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი ორენოვან სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით ამბობს, რომ სახელმძღვანელოების აზერბაიჯანული ნაწილი აკადემიურ სალიტერატურო ენაზეა შედგენილი და პრობლემა ისაა, რომ ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები, რომლებიც დიალექტზე საუბრობენ, უჭირთ ტექსტების გაგება. განათლების სამინისტრომ ნაკლებად იზრუნა იმაზე, თუ, რამდენად გასაგებად და მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით იქნა ეს სახელმძღვანელოები შედგენილი.

კიდევ ერთი პრობლემაა მასწავლებელთა კომპეტენციის საკითხი. უცნობია, თუ რამდენად კომპეტენტური მასწავლებლები ასწავლიან სკოლებში, როგორია მათი მიდგომა მოსწავლეების მიმართ, რამდენად ინფორმირებულები არიან სასწავლო გეგმების შესახებ, რამდენად იცნობენ დარგობრივი საგნების მოთხოვნებსა და სპეციფიკას. ქვემო ქართლში ბევრია ისეთი პედაგოგი, რომელსაც უმაღლესი განათლება არ აქვს მიღებული და არც საგნის სპეციალისტია, მაგრამ რადგანაც სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა არასაკმარისია, პედაგოგიური საქმიანობით არაკვალიფიციური კადრები არიან დაკავებულები. ამრიგად, როცა ბავშვები სკოლაში მიდიან, თავიდანვე უხარისხო განათლების მიღებისათვის არიან განწირულები.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა შეაფასეს კიდევ ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის მასწავლებლების მივლინებას ჯავახეთის რეგიონში. აღნიშნა, რომ ეს პროექტი გარკვეულწილად ეფექტიანი გამოდგა, მაგრამ საერთო სურათი, ქართული ენის სავალალო ცოდნის თვალსაზრისით, დიდად ვერ შეცვალა; *„ჟვანიას სკოლა მარტო ვერ შეცვლის არსებულ მდგომარეობას. საჭიროა მთელი რეფორმების ჩატარება განათლების სისტემაში. ჩვენ გვჭირდება კომპეტენტური, ორენოვანი საგნის სპეციალისტები“* აღნიშნა მარნეულის სოფლის ერთ-ერთმა ახალგაზრდა მასწავლებელმა.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ რეგიონში მთავარ პრობლემას წარმოადგენს საშუალო განათლების დაბალი ხარისხი. ხოლო რაც შეეხება უმაღლეს განათლების ხელმისაწვდომობას, დედაქალაქთან სიახლოვის გამო ეს წარმოადგენს პრობლემას რეგიონისთვის.

სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამის – „1+4-ის“ ქვემო ქართლის ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს და აღნიშნულ პროგრამას დადებითად აფასებს. დღეის მდგომარეობით, „1+4“ პროგრამით ბევრი ახალგაზრდა სარგებლობს.

*„დიახ, მსმენია. ჩვენი რაიონიდან არაერთმა ახალგაზრდამ ჩააბარა ამ პროგრამით უნივერსიტეტში და არაერთმა დაამთავრა უნივერსიტეტი. თუმცა დასაქმების თვალსაზრისით უწირს ქვეყანას“* განაცხადა ერთ-ერთმა ქალბატონმა მარნეულის მუნიციპალიტეტიდან.

#### **4.5. ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობა**

კვლევაში ჩართული რესპონდენტები ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობას, ძირითადად, საშუალოდ აფასებენ. აღსანიშნავია რომ განსხვავდება ქალაქში და სოფლში მცხოვრები აზერბაიჯანელების მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ქალაქად მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები ძირითადად

ურთიერთობას მდგომარეობას დადებითად აფასებენ. ხოლო სოფლებში მცხოვრებთა აზრით ურთიერთობა ინდეფერენტულია. იშვიათია ურთიერთობა.

კვლევის შედეგად ჩანს რომ, სადაც მოსახლეობა შერეულად არის განსახლებულნი ურთიერთობა შედარებით უკეთესია. *„ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, ძალიან იშვიათად გვიწევს ქონტაქტი, ესეც ვაჭრობის დროს“*, აღნიშნავს ბოლნისის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები. აღსანიშნავი მომენტია ისიც რომ, ახალგაზრდებში ვითარება იმედისმომცემია. ახალგაზრდა ქართველები და აზერბაიჯანელები უფრო მეგობრულ ნიადაგზე ურთიერთობენ, რაც დადებითი მოვლენაა.

#### **4.6. ინფორმირებულობის დონე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ**

ენის ბარიერის გამო, ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულები. რეგიონის აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა ბოლო მონაცემებით უფრო თურქულ ტელე არხებზე არიან ორიენტირებულნი. თემის ქართულ არხების მალურებელი ნაწილი ძალიან მიცრეა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი რადიოს მეშვეობით ასევე გადასცემს ახალი ამბების აუდიო ვერსიას აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თუმცა მაუწყებლობა მიმდინარეობს დილის ხუთიდან ექვს საათამდე. მეტიც, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი აღნიშნული რადიოს დაფარვის ზონის გარეთაა. 2006-დან 2010 წლამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო რეგულარულად გადასცემდა პროგრამას „ჩვენი საქართველო“, რომელიც შუქდებოდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ტრადიციები, კულტურა, ისტორია, პრობლემები და წარმატებები. მიუხედავად იმისა, რომ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია და მისი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა „ჩვენი საქართველოს“ აღდგენას პროგრამა ჯერჯერობით არ გააქტიურებულა. აღსანიშნავია,

რომ ორი კერძო რადიო „რადიო ეი-ჯი-ეფ-ემ“ი და „რადიო მარნეული“ თანამშრომლობენ; რომლებიც რადიო ტალღების მეშვეობით, ქვემო ქართლში აზერბაიჯანულ ენაზე გადასცემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ქვემო ქართლში არსებობს რამდენიმე ვებ-გვერდი, საინფორმაციო პორტალი, ინტერნეტ ტელევიზია მათ შორის აზერბაიჯანულენოვანი , თუმცა სოფლებში ცოტას მიუწვდება ხელი ინტერნეტზე.

კვლევის შედეგიდან ჩანს, ენის ბარიერის გამო რეგიონის აზერბაიჯანული მოსახლეობა ძირითადად მეზობელი ქვეყნის ტელე არხებს უღუბებენ, რაც მათ ხდის სხვა სივრცის ნაწილად. *„რადგან ქართული არ ვიცით ძირითადად თურქულ და აზერბაიჯანულ არხებს ვუყურებთ ,ინფორმაციას იქიდან ვიღებთ“* ამბობს ქალბატონმა დმანისის ერთ-ერთ სოფლიდან.

საქართველოში გამოიცემა 20-მდე აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი და ჟურნალი (მაგ: ყოველკვირეული „გურჯისტანი“ და ყოველთვიური „იენი იოლ“ , „ოზანი“). თუმცა თუმცა მათ მატერიალური რესურსები შეზღუდულია და ტირაჟი საკმაოდ მცირეა და ისინი ვერ ახერხებენ მოსახლეობის უახლესი ინფორმაციით უზრუნველყოფას. ასევე აღსანიშნავია ის მომენტი რომ მათი უმრავლესობა ფინანსდება აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ.

## დასკვნა

ნაშრომში მიმოვიხილეთ ეთნიკური აზერბაიჯანელების ინტეგრაციის პოლიტიკა საქართველოში. ეთნიკური აზერბაიჯანელების მდოგმარეობა დამოუკიდებლობის

მოპოვების შემდგომ და არსებული მდგომარეობა. შევეცადეთ, შეგვეფასებინა რამდენად მოდის თანხვედრაში ქვემო ქართლში სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა ლიუბლიანას დოკუმენტის ძირითად პრინციპებთან. ჩატარებული კვლევის ანალიზმა გვაჩვენა რომ, ქვემო ქართლში აზერბაიჯანული თემის ინტეგრაციის პროცესი არის დაუკმაყოფილებელი.

მეორადი მონაცემების ანალიზმა და ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელების წარმატებული ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი (თუ არა – უმნიშვნელოვანესი) ფაქტორია ქართული ენის სწავლების და ცოდნის გაუმჯობესება. მიღწეული გარკვეული პროგრესის მიუხედავად, მდგომარეობა ამ სფეროში კვლავ არადაკმაყოფილებელია. უმცირესობებისთვის ქართული ენის სწავლების გაუმჯობესება საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ ექსპერტის მოხსენებაში

აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში. ექსპერტები დადებითად აფასებენ შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ბოლო 5 წლის განმავლობაში, ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ბევრი პროექტი განხორციელდა. მიუხედავად ამისა, იმავე მოხსენებებში ხაზგასმულია, რომ მთელ რიგი მიმართულებებით ვითარება გამოსასწორებელია. ესეის მხრივ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს დამატებითი ღონისძიებები.

საქართველოს კანონმდებლობა ეთნიკურ ან რელიგიურ დისკრიმინაციასთან ბრძოლის მხრივ შეფასებულია, როგორც არასრულყოფილი. ქართულ მედიასივრცეში და პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლებში ხშირად გვხვდება ფობიური გამონათქვამები. სასკოლო სახელმძღვანელოების მეშვეობით ხდება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების და მცდარი შეხედულებების დანერგვა.

უმცირესობათა წარმატებული ინტეგრაციის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება. ამ მხრივ, განსაკუთრებულ როლს მასმედია, უპირველეს ყოვლისა კი, საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა ასრულებდეს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბადეში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების, კულტურის, ტრადიციების ამსახველ გადაცემებს. მეორე მხრივ, უნდა შექმნას პირობები, სადაც თვითონ უმცირესობები მათ მშობლიურ ან მათთვის გასაგებ ენაზე მიიღებენ მეტ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ფარგლებში აღდგეს რუსულენოვანი ტელეარხი. გარდა ამისა, ქართულმა მასმედიამ განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ქსენოფობიისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოლო 10 წელიწადში, ქვემო ქართლში ქართულ სახელმწიფოსთან აზერბაიჯანული მოსახლეობის ინტეგრაციის მხრივ ვითარება გაუმჯობესდა. ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო და სხვა პროექტების განხორციელებამ ხელი შეუწყო ინტეგრაციის პროცესს. მიუხედავად ამისა, ქვემო ქართლის ეთნიკური აზერბაიჯანელების ინტეგრაციის დონე საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დაბალია. მოსახლეობას ინტეგრაცია ყველა მიმართულებით უჭირს (პოლიტიკა, ბიზნესი, კულტურა და სხვა); მათ არ აქვთ შეგრძნება, რომ საქართველოს სახელმწიფოს სრულფასოვანი მოქალაქეები არიან.

ინტეგრაციას აფერხებს ქვემო ქართლში აზერბაიჯანელების კომპაქტურობა. ეთნიკურ ქართველებთან ქონტაქტის სიმწირე ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესს. ქალაქის მოსახლობაში სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ქართველები შერეულად ცხოვრობენ, მათი ურთერთობების დონეც სოფელთან შედარებით გაცილებით მაღალია. გარდა ამისა, იკვეთება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინდიფერენტულობა და უმოქმედობა: რეგიონში არ მოქმედებს ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების, დასაქმების და სხვა მიმართულებით. არსებობს ცალკეული პროგრამები, რომლებიც



ჯავახეთში არსებულ სავალალო ვითარებას, სახელმწიფო ინსტიტუტებთან ინტეგრაციის და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით, არსებითად ვერ ცვლის.

ქვემო ქართლის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები პრაქტიკულად არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხარეო (ქვემო ქართლი) და ცენტრალური ხელისუფლების დონეებზე. ქალები არ არიან წარმოდგენილნი გამგეობასა და საკრებულოში. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა მზარდ მონაწილეობას მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში. ქვემო ქართლში აუცილებელია, გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა ძალოვან სტრუქტურებში.

კვლევის შედეგად ეთნიკური აზერბაიჯანელების ინტეგრაციისა და ჩართულობის ხელისშემშლელ ფაქტორად აგრეთვე ასახელდა პოლიტიკური ნების არ არსებობა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. ახალი კადრების მოზიდვით არსებული ინტეგრაციის სფეროში მდგომარეობის შეცვლა უფრო მიზანმიმართული იქნებოდა. ამ პოლიტიკური პარტიებიც არ მუშაობენ სათანადოდ. პოლიტიკური პარტიები არ არიან დაინტერესბულნი პარტლიულ სიაში ახალგაზრდა ეთნიკური უმცირესობების მოზიდვით.

ქვემო ქართლში საბავშვო ბაღები მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია. საბავშვო ბაღები ძირითადად კონცენტრირებულნი არიან მუნიციპალიტეტებში. ბოლო წლებში რეგიონის სოფლებში შენდება ახალი საბავშვო ბაღები, რაც პრობლემის მოგვარებას ემსახურება. რადგან ქართული ენის სწავლის პროცესი საბავშვო ასაკიდან.

ქვემო ქართლში მწვავე პრობლემად რჩება ხარისხიანი საშუალო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა მშობლიურ ენაზე. საშუალო განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები უკავშირდება ორენოვან (ქართულ-აზერბაიჯანული) სახელმძღვანელოებს და ზოგადად, ბილინგვურ სწავლებას. ეს უკანასკნელი, შესაბამისი კომპეტენციის (ანუ, ორივე ენის მცოდნე) პედაგოგების არსებობას

მოითხოვს. აზერბაიჯანულენოვანი სკოლების უმრავლესობა ვერ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს ინფრასტრუქტურული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა დამაკმაყოფილებელია. რაც განპირობებულია დედაქალაქთან სიახლოვეთ. კვლევამ აჩვენა, რომ განათლების მიღების, ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესება კავშირშია აზერბაიჯანული თემის სამოქალაქო ცნობიერებასა და პოლიტიკურ ჩართულობასთან. ამასთან, სახეზე გვაქვს ახალ თაობაში განათლებისა და კრიტიკული ცოდნების წარმოების ახალი პროცესი. დღეს, აბიტურიენტების უმრავლესობა სწავლას აგრძელებს საქართველოს უნივერსიტეტებში. საშეღავათო პოლიტიკამ დადებითად იმოქმედა სწავლის გაგრძელების მოტივაციაზე და არჩევანზე. „1+4“ პროგრამას, ამ ეტაპზე, სხვა ალტერნატივა არ აქვს და კიდევ უნდა გაგრძელდეს. პროგრამის შედეგია, რომ მან არა მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტებისკენ შემოაბრუნა აბიტურიენტები, არამედ მან ზოგადად სწავლის გაგრძელების მოტივაციაზეც იმოქმედა. ამ მხრივ ერთადერთი პრობლემაა უნივერსიტეტ დამთავრებული ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა რეგიონში. სახელმწიფომ რეგიონში მოტივაციის გაზრდის მიზნით უნდა მოიზიდოს ახალი კადრები საჯარო სტრუქტურებში.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებს დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები ძირითადად ენობრივ ბარიერთან არის დაკავშირებული, აგრეთვე საბანაკო კრედიტების (სესხების) აღების გართულებული შესაძლებლობა. კვლევამ აჩვენა რომ ადგილობრივ ფერმერები არ არიან ინფორმირებულნი შეღავათიანი აგრო-კრედიტების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებში შეიქმნას საკონსულტაციო და ბიზნეს ცენტრები, სადაც ადგილობრივი ბიზნესმენები, ფერმერები მიიღებენ სათანადო ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობის, ბაზრის მდგომარეობისა და სხვადასხვა ღონისძიებებისა და ტენდერების შესახებ.

2020 წ. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. იმედია, რომ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების შემუშავება მოხდება არა ვიწრო სამთავრობო წრეში, არამედ – ფართო, საჯარო განხილვის პროცესში. სასურველია, რომ კონცეფციაც და გეგმაც შეიქმნას „ქვემოდან ზემოთ“, ე.ი. მათ შემუშავებაში გადამწყვეტი სიტყვა თქვას სამოქალაქო სექტორმა, ეთნიკურმა და რელიგიურმა თემებმა, მედიამ, დაინტერესებულმა პროფესიულმა ჯგუფებმა. ასევე კარგი იქნებოდა გეგმის შესრულების პერიოდში ეფექტიანობის გაზომვის მიზნით ჩატარდეს მონიტორინგი მონიტორინგი.

## 5. გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟორჯოლიანი, გ., ბერეკაშვილი, თ. , მუსხელიშვილი, მ. (2001). დემოკრატიზაცია. საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში: დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში. თბილისი: "მეცნიერება" ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო.
2. კობახიძე, მამუკა . (2006). სამოქალაქო ინტეგრაციის ძირითადი პრობლემები საქართველოში. "სოლიდარობა" No5'06, გვ. 10-17
3. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები [http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf)
4. საქართველოს სახალხო დამცველი. (2016) 10 დეკემბრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. მოპოვებული <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4087.pdf>-დან
5. ჰეივუდი, ე. პოლიტიკა 2008
6. Policy Analysis of Civil Integration of Ethnic Minorities in Georgia (2008). Study by BTKK– Policy Research Group. Available at: [http://www.btkk.ge/files/files/DFID\\_%20Policy\\_Paper\\_%20Eng.pdf](http://www.btkk.ge/files/files/DFID_%20Policy_Paper_%20Eng.pdf)
7. Giorgi, Gogsadze et al. (2014). Minority Integration in Georgia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti). Tbilisi: The Levan Mikeladze Foundation.
8. (2012 November). The Ljubljana Guidelines on Integration of Diverse Societies. Organization for Security and Co-operation in Europe: High Commissioner on National Minorities.
9. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, ღია საზოგადოების ფონდი. 2019 <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf>
10. Gijs Thus. Capabilities, Language proficiency and civic integration: assessing capabilities related to civic integration by means of state language proficiency among ethnic minorities in Southern Georgia. Utrecht University.
11. ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა(EMC) [http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO\\_WEB\\_1552474567.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf)
12. Francesco Capotorti. The Protection of Minorities under Multilateral Agreements on Human Rights in The Italian Yearbook of International Law, 1976, 14; Study on the

- Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities, Geneva UN Center for Human Rights, UN DocE/CN.4/Sub.2/384/Add.1-7
13. OHCHR, Minority Rights, International Standards and Guidance for Implementation, 2010,
  14. Minority Rights under European Convention on Human Rights, Pamphlet No 7, [www.ohchr.org/Documents/Publications/GuideMinorities7en.pdf](http://www.ohchr.org/Documents/Publications/GuideMinorities7en.pdf) (last visited 28.06.2019).
  15. Council of Europe, Handbook on European Anti-discrimination law, 2018,
  16. UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General comment No. 20: Non-discrimination in economic, social and cultural rights, 2 July 2009, E/C.12/GC/20, at 4.
  17. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015–2020 წწ. სამოქმედო გეგმა [http://smr.gov.ge/Uploads/AP\\_2019\\_61013459.pdf](http://smr.gov.ge/Uploads/AP_2019_61013459.pdf)
  18. კონკურენცია ეთნიკური უმცირესობების ხმებისათვის საქართველოში: 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები, პოლიტიკის ნარკვევი, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, თბილისი 2018 [http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities\\_Geo.pdf](http://csem.ge/wp-content/uploads/2018/06/Competing-for-Votes-of-Ethnic-Minorities_Geo.pdf)
  19. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, (2016), საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში - <http://cesko.ge/res/docs/Parliament-Web.pdf>
  20. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge>

## დანართი

### ჯგუფური დისკუსიის გზამკვლევი

#### 1. შესავალი (5 წუთი)

აზერბაიჯანული თემის წარმატებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციას საქართველოში.

გთხოვთ, წარმოადგინოთ საკუთარი თავი და ორგანიზაცია, რომელსაც

წარმოადგენთ.

#### 2. ზოგადი ნაწილი (10 წუთი)

2.1. თქვენი აზრით, რამდენად მიიჩნევს ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა თავს

საქართველოს სახელმწიფოს ნაწილად? ზოგადად, როგორ დაახასიათებდით

ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციის ხარისხს ქართულ სახელმწიფოსთან - ესაა

„მაღალი“, „საშუალო“ თუ „დაბალი“?

2.2. როგორ ფიქრობთ, განსხვავდება თუ არა ქვემო ქართლში არსებული ვითარება: ა)

რეგიონში (ქვემო ქართლი) ან ბ) ზოგადად ქვეყანაში არსებული ვითარებისგან?

#### 3. საჯარო სექტორში ჩართულობა (15 წუთი)

რამდენად წარმოდგენილია ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობა:

3.1. ადგილობრივი (მინიციპალიტეტის) თვითმმართველობისა (საკრებულო) და

მმართველობის (გამგეობა) ორგანოებში?

3.2. ქვემო ქართლის სამხარეო მმართველობით ორგანოებში (გუბერნატორის ოფისი)?

3.3.. ცენტრალური მართვის (ქვეყნის დონეზე) მმართველობით ორგანოებში?

შეგიძლიათ, ეს მონაწილეობა (თითოეულ დონეზე) პროცენტული წილით გამოხატოთ? (ამ შემთხვევაში, გვინტერესებს თქვენი წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ სტატისტიკას, შესაძლოა, არც იცნობდეთ).

3.4. თქვენი აზრით, რა უწყობს ხელს იმას, რომ ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობა

მონაწილეობდეს საჯარო მმართველობით სტრუქტურებში: ცუდი საკანონმდებლო

რეგულაციები, ცენტრალური/რეგიონული ხელისუფლების ნეგატიური პოლიტიკა

ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში, დამაბული თანაცხოვრების ტრადიცია,

საერთაშორისო ორგანიზაციების მავნე გავლენა და სხვა?

3.5. თქვენი აზრით, რა უშლის ხელს იმას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა

მონაწილეობდეს საჯარო მმართველობით სტრუქტურებში: ცუდი საკანონმდებლო

რეგულაციები, ცენტრალური/რეგიონული ხელისუფლების ნეგატიური პოლიტიკა

ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში, დამაბული თანაცხოვრების ტრადიცია,

საერთაშორისო ორგანიზაციების მავნე გავლენა და სხვა?

3.6. თქვენი ნება რომ იყოს, პირველ რიგში, რას შეცვლიდით (რა რეფორმებს

გაატარებდით) იმისათვის, რომ გაიზარდოს ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობის

მონაწილეობა საჯარო მმართველობაში?

4. ეკონომიკურ/ბიზნეს საქმიანობაში ჩართულობა, შრომითი უფლებები (15 წუთი)

4.1. ქვემო ქართლის მოსახლეობის შესაძლებლობები დასაქმების თვალსაზრისით

ექმნება თუ არა აზერბაიჯანულეოვან მოქალაქეებს პრობლემები დამსაქმებლებთან?

- მუნიციპალურ დონეზე

- სამხარეო დონეზე

- ცენტრალურ დონეზე

რა დამატებითი ბარიერები ხვდება სომეხ მოსახლეობას შრომის ბაზარზე დასაქმების

პროცესში? (ენობრივი ბარიერი, სამართლებრივი. ეთნიკური, არაკვალიფიციურობა,

მათ მიმართ არსებული უნდობლობა და სხვ.).

4.2. რა უფრო პრიორიტეტულია ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის –

ეკონომიკურ/ბიზნეს საქმიანობაში პარტნიორობა აზერბაიჯანის თუ საქართველოს ბიზნეს წრეებთან? რატომ?

4.3. მონაწილეობს თუ არა ქვემო ქართლის მოსახლეობა მხვილ რესპუბლიკურ და

საერთაშორისო პროექტებში

5. განათლების მიღების შესაძლებლობები (15 წუთი)

5.1 თქვენი აზრით, რამდენად ხელმისაწვდომია ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის:

ა) სკოლამდელი განათლების მიღება (მათ შორის, მშობლიურ ენაზე)?

ბ) საშუალო განათლების მიღება (მათ შორის, მშობლიურ ენაზე)?

გ) უმაღლესი განათლების მიღება (მათ შორის, მშობლიურ ენაზე)?

რა სახის ბარიერები ხვდება აზერბაიჯანულ მოსახლეობას ოჯახის, საზოგადოების და

სახელმწიფოს მხრიდან განათლების (სკოლამდელი, საშუალო, უმაღლესი)

მიღებასთან დაკავშირებით?



5.2. რამდენად მოტივირებულია ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობა, ისწავლოს

ქართული ენა? რითია განპირობებული ქართული ენის შესწავლის მოტივაცია?

გამართლა თუ არა პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა ქვემო ქართლში ქართული

ენის სწავლებას ქართველი პედაგოგების მიერ?

5.3. მოტივირებულობის შემთხვევაში, რამდენად აქვს ქართული ენის შესწავლის

შესაძლებლობა ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას? დაასახელეთ ინსტიტუტები,

რომლებიც ამ შესაძლებლობას უზრუნველყოფს. რა ძირითადი ბარიერები არსებობს

ქართული ენის შესწავლის გზაზე?

5.4. რამდენად გსმენიათ საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ შემდეგ

საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) მისცენ ეროვნულ უმცირესობებს შესაძლებლობა, შეღავათიანი პირობებით ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამა 1+4)? (იგულისხმება პროგრამა, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ეროვნული გამოცდების გარეშე ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში და ერთწლიანი მომზადების შემდეგ გადიან ეროვნულ გამოცდებზე).

ბ) სახელმწიფო სკოლებში ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა. გამართლა თუ არა პროგრამამ, რომელიც ითვალისწინებდა ჯავახეთში ქართული ენის სწავლებას ქართველი პედაგოგების მიერ?

6. თემის შიგნით და თემთა შორის ურთიერთობები; საკუთარი იდენტობის

რეალიზაცია (15 წუთი)

6.1. ახლა, გთხოვთ, აღწეროთ ის ურთიერთობები, რომლებიც ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ

თემსა და ქართულ თემს შორის არსებობს. არის ეს ურთიერთობები უფრო მეტად

კეთილგანწყობილი, ინდიფერენტული, დაძაბული თუ კონფლიქტური? რა არის ამ

ურთიერთობის განმაპირობებელი ფაქტორები?

6.2. რამდენად აქვს ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ თემს შესაძლებლობა:

ა) დაიცვას თავიანთი კულტურული ტრადიციები;

ბ) ჩაებას საკუთარი აღმსარებლობის რელიგიურ რიტუალებში;

გ) მიიღოს ინფორმაცია აზერბაიჯანულ ენაზე მასმედიის სხვადასხვა

საშუალებით (ტელევიზია, რადიო, პრესა);

დ) ჩამოაყალიბოს საკუთარი თემის

ინტერესების და ღირებულებების დამცველი სამოქალაქო ორგანიზაციები? რა

ბარიერები ახლავს ამ შესაძლებლობების რეალიზაციას? იგულისხმება თუ არა ამ

ბარიერებში საკანონმდებლო ხარვეზები?

6.3. კმაყოფილი ხართ თუ არა რეგიონული/ მუნიციპალური ტელევიზიების, პრესის

მუშაობით, რა პრობლემებია ამ მხრივ?

7. სხვადასხვა პროგრამებში ჩართულობა (10 წუთი)

7.1. გსმენიათ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ ჯანდაცვის

სფეროში:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების (ე.წ. უმწეოთა) დახმარების სახელმწიფო

პროგრამა.

ბ) სოფლის ექიმის პროგრამა

გ) ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა

დ) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა

ე) სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო მკურნალობის სახელმწიფო

პროგრამა

უსარგებლიათ თუ არა თქვენი ოჯახის/თემის წევრებს აღნიშნული პროგრამებით?

თუ არ უსარგებლიათ, რა მიზეზით?

7.2. გსმენიათ თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამების შესახებ სოფლის

მეურნეობის სფეროში:

ა) მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა

ბ) შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა

გ) საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ფერმერებისათვის

უსარგებლიათ თუ არა თქვენი ოჯახის/თემის წევრებს აღნიშნული პროგრამებით?

თუ არ უსარგებლიათ, რა მიზეზით?

8. შეჯამება (10 წუთი)

თუ შევაჯამებთ, გთხოვთ, დაასახელოთ ერთი, ყველაზე

მთავარი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობის

წარმატებულ ინტეგრაციას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური

და კულტურულ ცხოვრებაში.

დიდი მადლობა მონაწილეობისთვის!